# ჟურნალ—გაზეთებიდან

**შეიდმანელებისა და დამოუკიდებელთა შეერთების წინ.** „ფორვერსტი" გვაუწყებს იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც სწარმოებს ორ სოციალისტურ პარტიების შეერთებისათვის. საერთო პროგრამა მოქმედების, გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის გერმანიაში, უკვე გამომუშავებულია. ეხლა ორივე პარტიის წარმომადგენელნი არჩევენ ორგანიზაციულ საკითხებს. „ფორვერსტის" აზრით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დეტალებში აზრის სხვა და სხვაობას, არსებით დებულებებში შეთანხმება უკვე მიღწეულია.

**საფრანგეთ—ინგლისის „მეგობრობა"** საფრანგეთის არტილერიის მთავარი ინსპექტორის, გენერალ ხერრის განცხადებით, დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ახალი ომის შემთხვევის დროს, შესაძლებელი იქნება შორს—მსროლელი იარაღების გამოყენება, რომელიც ისვრის 140—200 კილომეტრის სივრცეზედ. ამ რიგად ინგლისის ნაპირებიდან განადგურება შესაძლებელი იქნება ბრიუგეს, ლილის, არრასის, ამიენის, გავრის და შერბურგის სამხრეთ ნაწილის. მეორე მხრით საფრანგეთის იარაღებს შეუძლია ყუმბარების გადასროლა გავრიჩში, ლონდონში, პორსტმუტში, საუტგემპტონში, დარჩესტერში, დორტმურში და კორნუელის ნაპირებში. ინგლისის მთელი სამხრეთი სანაპიროები მისაწდომი იქნება საფრანგეთის იარაღისათვის.

**ომის საშიშროების შესახებ.** პარიზიდან მოსულ ცნობებით, კომუნისტური პარტიის მორიგ ყრილობაზე მიღებულ იქმნა შემდეგ დადგენილება:

1 შესაძლებელი ომის მიმართ მოქმედების გეგმის გამომუშავება შეადგენს პარტიის კომპეტენციას და არა შორეულ ფედერატიულ ორგანიზაციისას.

2. რადგან ყოველი რევოლიუციონური გამოსვლა არის გამოსვლა მასიური, პარტია ვერ დაუშვებს თავის ტაქტიკის საფუძვლად ვერავითარ ინდივიდუალურ აქტებს, როგორი კეთილშობილური მოტივებით არ უნდა იყოს იგი გამოწვეული.

3. ომის საშიშროების წინ უნდა დავაყენოთ ფეხზე პროლეტარიატის ორგანიზაციული მასა. სხვა ორგანიზაციების ლიდერები გაკოტრდებიან, თუ ვერ შესძლებენ მასების გამოყვანას ომის წინააღმდეგ.

აქტიური გამოსვლა ომის წინააღმდეგ უნდა იყოს მომზადებული ხანგრძლივი პროპაგანდის გზით.

ყრილობის მიერ ყველა პუნქტები იქმნა მიღებული და ერთხმად იქმნა გამოტანილი პროტესტი საფრანგეთის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ყრილობამ მიმართა საფრანგეთის მუშებს მოწოდებით, რომ დაიცონ მათ გერმანეთის რევოლიუცია.

„საფრანგეთის პროლეტარიატიო —გვეუბნება მოწოდება—ვალდებულია წინა აღუდგეს რურის ოლქის ოკუპაციას დამორჩილების წინააღმდეგ წასვლითა და გაფიცვებით. აუცილებელია რიგების გამაგრება, რომ არ დაუშვათ ახალი ომი და დავეხმაროთ გერმანელ ამხანაგებს საფრანგეთის კაპიტალიზმთან ბრძოლაში".

**ფაშისტების ახალი მეთოდები.** იტალიის ფაშისტებმა მიაქციეს უკანასკნელ ხანში განსაკუთრებული ყურადღება პროპაგანდას მუშათა შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ მათ მიაღწიეს რამდენიმე შედეგებს.

შესძლეს ყვითელი პროფკავშირების შეუგნებელი წევრების მიმხრობა. მაგრამ მუშათა შორის მოქმედების დაწყება ფაშისტებს თვით აგდებს გამოუვალ მდგომარეობაში. მათ უნდა დაიცონ ან ნაციონალური მთლიანობა და „კლასთა ჰარმონია", რომლის დროს დაკარგავენ თავის თანამგრძნობლებს მუშათა წრეებში, ან უნდა აწარმოონ ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ და ამით შეინარჩუნონ თავისი გავლენა მუშათა წრეებში. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა განცხადება „ვოლტის" სააგენტოს თვალსაჩინო წარმომადგენლის, რომელიც აღნიშნავს, რომ კაპიტალისტები არ არიან სავსებით კმაყოფილნი მათი ერთგული მსახურების. „მართალი რომ ვსთქვათო—განაცხადა იტალიის კაპიტალის წარმომადგენელმა,— ჩვენი მრეწველობის ხელმძღვანელნი ფაშისტურ ახალ მოძრაობას უცქერიან ერთი მხრით სიმპატიით და მეორე მხრით უნდობლობით. სიმპატიით იმიტომ, რომ ფაშისტებმა დაამარცხა ბოლშევიკები და იბრძვიან ნაციონალური იდეალისათვის, უნდობლობით იმიტომ, რომ ისინი გაურკვეველნი არიან მომხრეთა ამორჩევაში და არა აქვთ შინაგანი დისციპლინა, რომელიც მოგვცემდა მის გარანტიას, რომ მათი ძალა არ მიიღებდა ცუდად გამოყენების გზას" შემდეგ კაპიტალისტი განაგრძობს, რომ ფაშისტები ანვითარებენ ძალადობის აქტებს და მუშები, მის გავლენის ქვეშ მოქცეულნი, საშიში იქნებიანო. ამ მხრით—განაგრძობს ის—უკეთესია საქმის დაჭერა სოციალისტური პარტიების ლიდერებთან, ვიდრე ფაშისტებთან, რომელთაც შეუძლიათ მშვიდობიანი მოლაპარაკებით მოწესრიგება მუშათა და კაპიტალისტებს შორის აღმოცენებული წინააღმდეგობის.

კაპიტალის წარმომადგენელმა ქება შეასხა სოციალისტებს და კათოლიკებს და არა კომუნისტებს.

როგორც სჩანს მათთან საქმის დაჭერა მეტად არა სასიამოვნოთ არის მიჩნეული... მით უარესი სოციალ-შემთანხმებელთათვის.

**ჰაერო-ველოსიპედი** გამოიგონეს იტალიაში. აპარატი პატარაა და მოძრაობაში მოჰყავს ფეხებით მფრინავს.

**ჰაერით მოგზაურობის კომფორტი.** საზღვარ გარეთ თანდათან ვრცელდება ჰაერით მოგზაურობა და ბევრ სიამოვნებასაც აძლევს მგზავრებს.

უკანასკნელ დროს ათ ადგილიან ჰაეროპლანებზე, რომლებიც დაფრინავენ პარიზსა და კონსტანტინეპოლს შუა, მოწყობილია რადიო-ტელეფონები, რომლის საშუალებითაც მგზავრები ისმენენ გზაში მდებარე ქალაქების რადიო-სადგურებიდან მუსიკას, ორატორებს და სხვა.

**თავისებური ჰაციფისტები.** ფლოტის სიძლიერის გასადიდებლად, ყოველ დიდ გემზე ამერიკაში დადგმული იქნება ოთხ-ოთხი თვით-მფრინავი: ერთი არტილერიის ცეცხლის შესამოწმებლად და გასასწორებლად, ერთი მინების გასასროლად და ორიც გამანადგურებელი.

ესეთივე ზომები მიღებულია ინგლისში, სადაც უკვე შეიარაღებულია თვით-მფრინავებით 17 გემი, 9 კრეისერი დიდი და 7 პატარა კრეისერები.

**შეერთებული პროგრამა სოციალ-დემოკრატებისა ატარებს წმინდა წვრილ-ბურჟუაზიულ ხასიათს.** „ფორვერსტი" არკვევს სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეერთებულ პროგრამას, უმთავრესად იმიტომ, რომ მასში მეტია თეორეტიული ფორმულები, ვიდრე გარკვეული პრაქტიკული გეზი მოქმედებისა. „ფორვერტსი" სრულიად დამაკმაყოფილებლად სთვლის პროგრამას. ბურჟუაზიული პრესა ხაზს უსვამს პროგრამის ზომიერ ხასიათს. „კერძენ-კურიერი" ხედავს მასში პროექტს კაპიტალისტური სახელმწიფოების და სოციალიზმის შერიგების გაადვილებისას. „ბერლინერ ტაგებლატი" სწერს: „პროგრამა არ იღებს არც ერთ ფორმას პროლეტარიატის დიქტატურისას. იგი ლაპარაკობს მარქსიზმის დებულების გარშემო, რომელიც აგებულია „ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციაზე" ე. ი. წარმოების იარაღების განსაზოგადოებრიობაზე, სხვა მხრივ პროგრამა წარმოადგენს რადიკალ— სოციალ-პოლიტიკების პროგრამას".

**ჩვენ შეგვიძლია ამაყობა მით, რომ ხელი შეუშალეთ რევოლიუციას.** რეფორმისტების მიერ მილანში შეკრებილ კონფერენციაზე, იმ საკითხის შესახებ, რომელიც შეეხებოდა იტალიის სოციალისტური პარტიის მონაწილეობას კონგრესში, ტურატიმ განაცხადა, რომ რეფორმისტები უნდა მოვიდნენ ამ ყრილობაზე, რომ გარკვევით გაიმიჯნონ კომუნისტებისაგან და ნათელყონ რეფორმისტული ხასიათი, როგორც დემოკრატებმა და ევოლიუციონისტებმა, რომელნიც წინააღმდეგი არიან რევოლიუციის და პროლეტარიატის დიქტატურის. ამასთანავე დარაგონმა განაცხადა „ჩვენ შეგვიძლია ამაყობა მით, რომ ხელი შეუშალეთ რევოლიუციასაო". კონფერენციამ გადასწვიტა მიიღოს მონაწილეობა კონგრესში.

**პალესტინის მანდატის გამოცხადების, „დღესასწაული".** იერუსალიმში ადგილი ჰქონდა ცერემონიალს პალესტინის მანდატის გამოცხადების შესახებ ბრიტანეთის მიერ. სერ-გერბერტ სამუელმა, ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა, მიიღო ფიცი და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. „ტაიმსი" გადმოგვცემს, რომ პროტესტის ნიშნად ბრიტანეთის წინააღმდეგ, არაბებმა დახურა სავაჭროები 24 საათის განმავლობაში და გამოაცხადა გლოვა.

# ოსმალეთ საბერძნეთის ომი

**ქემალ-ფაშას მოწოდება.**

**მოსკოვი 23 სექტ.** ქემალ-ფაშამ მიმართა მოწოდებით ხალხს, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ოსმალეთის ჯარებმა გაანთავისუფლეს სმირნა და ბრუსსა. მტრის სარდლები ტყვედ არიან წაყვანილნი, ოდესღაც ძლიერი საბერძნეთის ჯარი დაემსგავსა გაქცეულ ჯოგს.

**პანდერმის აღება.**

**მოსკოვი 23 სექტ.** ანგორადან მიღებული ცნობით, ოსმალეთის ჯარებმა დაიკავეს პანდერმი.

**სამხედრო მოქმედებანი.**

**მოსკოვი 23 სექტ.** ლონდონიდან იუწყებიან, რომ ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობა უცვლელია. ოსმალეთის ჯარების ნაწილებმა დაიკავეს მთელი რიგი სოფლებისა, რომელნიც ნეიტრალურ ზონაში მდებარეობენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ ქონიათ შეტაკება მოკავშირეებთან.

**ქემალი და მოკავშირენი.**

**მოსკოვი 23 სექტ.** ქემალმა მიმართა მოკავშირეებს თხოვნით, ნება დართონ მას დაიკავოს ფრაკია, ოსმალთა მცხოვრებთა დასაცავად ბერძნების ძალადობისაგან.

**ბჟობენ.**

**ნაუენი 22 სექტ.** ინგლისის კაბინეტი შეუწყვეტლად განაგრძობს სხდომას. ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა და-

# საბჭოთა თანწყობა და ეროვნული საკითხი

**ჩერქეზეთი.**

რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, ამა წლის 27 ივლისს, უნდა შესდგეს ჩერქეზების (ადიგების) ავტონომიური ერთეული, რომელიც ჩამოყალიბდება სათანადო საზღვრებში თავისივე ოლქებით. დადგენილების ოქმის პირველ მუხლში ვკითხულობთ: „ყუბანის—შავიზღვის ნაპირის ოლქის კრასნოდარის და მაიკოპის მაზრებიდან (отделов) გამოყოფილ იქნეს ტერიტორია ახლა დასახლებული ჩერქეზებით (ადიგეებით), რომელშიც შევა ამ ტერიტორიაზე არსებული სოფლები და ხუტორები, მიწებით და ტყეებით, შექმნილ იქნეს ჩერქეზების (ადიგეელების) ავტონომიური ერთეული, შემდეგ ოლქების შემადგენლობით:

ა) პსექუპის ოლქი: კრასნოდარის მაზრის 19 აულები; ცენტრით აულ ტახტამუკაიში:

ბ) შირვანის ოლქი: კრასნოდარისა მაიკოპის მაზრის აულები: ცენტრით აულ ადამიაში, და გ) ფარსული ოლქის მაიკოპის მაზრის აულები, ცენტრით აულ ხაკურინო-ხაბლში.

ასეთ საზღვრებში და ზემოჩამოთვლილი აულების შემადგენლობით ჩამოყალიბებულია ახალი ავტონომიური ერთეული, ჩერქეზეთი, რომლის მესვეურებსაც, თანახმად იმავე დადგენილების მეხუთე მუხლისა, ტერიტორიის საზღვრების გამგებლობა უნდა მიეღოთ 15 აგვისტოსათვის.

ჩერქეზეთის ავტონომიურ ერთეულის შექმნით კიდევ ერთი თანასწორი წევრი მიემატა იმ რესპუბლიკებს და ერთეულებს, რომელნიც აღმოცენდნენ საბჭოთა წყობილების დროს დიდ რევოლიუციის ხანაში და ფედერატიულ კავშირში იმყოფებიან ველიკორუსიასთან. ესენი კი არიან რესპუბლიკები: ბაშკირეთის, ყირგიზების, თათრების, თურქესტანის, მთიულეთის და დაღესტანის; ავტონომიური ერთეული: კალმიკების, ჩუვაშების, ვოტიაკების, მარიეულების და ზირიანების (კომი); შრომის კომუნები: კარელის, ვოლგის გერმანელების; მასთანვე ჯერ კიდევ არა სავსებით ჩამოყალიბებული ყირიმი, იაკუტების ოლქი და ბურიატების ოლქი.

აღნიშნულ 16 ავტონომიურ ერთეულს მიემატა მეჩვიდმეტე ერთეული—ჩერქეზეთი.

ყოველივე ზემოაღნიშნულს ემატება აგრეთვე დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკები, როგორიც არის უკრაინა, აზერბეიჯანი, საქართველო, ბელორუსეთი, სომხეთი, ხივა, ბუხარა და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკა.

ზემოხსენებული დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკები და ველიკორუსიასთან ფედერატიულ კავშირში მყოფი ავტონომიური ერთეულების ჩამოყალიბება და მომავალში მათი განვითარება აუცილებლად უნდა მიეწეროს იმ დიადი რევოლიუციონური მოძრაობის ლოზუნგებს, რომელიც განვითარდა ამ უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში და რაც შედეგია აუცილებლად საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა მრავალ ფრონტებზე კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ.

„ამ გამარჯვებამ—სწერს ი. ტრაინინი—საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა გრანდიოზული შემოქმედებითი და ორგანიზაციული მუშაობა თანახმად ერთა თვითგამორკვევის პრინციპებისა ყოფილ მეფურ იმპერიის გარდაქმნაში, მთელის ტერიტორიაზეც, ველიკორუსიასთან ერთად, დიდ დედობით ფედერატიულად შეერთებულია ურთიერთ შორის მრავალი ავტონომიური ერთეული". **)

გადავიდეთ ისევ ჩერქეზეთზე და მოკლედ მაინც შევეხოთ იმას, თუ ვინ არიან ეს ჩერქეზები და რამდენი არიან საერთოდ.

თვით სახელწოდება ჩერქეზები აერთიანებდა ყველა იმ მთიელებს, რომელნიც მოსახლეობდნენ კავკასიის მთავარ ქედის დასავლეთის ნაწილში დაწყებული ყუბანიდგან შავ ზღვამდის ქუთაისის გუბერნიის საზღვრებამდე. ასე იყო მანამდის, სანამ თვითმპყრობელი რუსეთი დაიპყრობდა აღნიშნულ ადგილებს და განადგურების გზაზე დააყენებდა მთელ ჩერქეზთა მოსახლეობას. ჩერქეზები სამ მთავარ ჯგუფად იყოფოდნენ: I. ადიგეები, რომელთაც ეკუთვნოდნენ: მდინარე ყუბანის ტოტების ბელაია, ლაბას, პსიშას და პსეკუპის ხეობაში მყოფნი აბაძეხები; მდინარე ყუბანზე მყოფნი შაფსუღები; შავი ზღვის ნაპირებზე ტუაპსიდან დუდაფსუმდის ნატუხაელები; ამათზე აღმოსავლეთით ბესლენეელები; მდინარეებს ლაბასის და თეთრის შორის ბჟედუხები, შემდეგ უბიხები და რამდენიმე სხვა და სხვა წვრილი თემები. II ყაბარდოელები და III აფხაზები. (ზემოაღნიშნული ცნობები ამოკრეფილია დიდი ენციკლოპედიიდან)

ამჟამად ჩერქეზებს (ადიგეელებს) ეპყრათ ზემოაღნიშნული ადგილები ჯერ მეხუთე საუკუნიდან და მუდამ ცდილობდნენ დაეკავათ ახალ ახალი ადგილები აზოვის ზღვასკენ, საიდანაც გამოდევნილი იყვნენ ჯერ თათრების მიერ, შემდეგ კი ყაზახების მიერ. აღსანიშნავია საერთოდ, რომ ჩერქეზები კორკეტების, ცერკეტების, ზიხების და თორეტების სახელებით ცნობილი იყვნენ ისტორიკოსების და გეოგრაფებისათვის, დაწყებული VI საუკუნიდან ქრისტეს წინ. XVI საუკუნემდის ჩერქეზები წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ ჯგუფებს მეომარ ხალხებისას, ექვემდებარებოდნენ ხან საქართველოს, ხან ყირიმის ხანებს და ამისდა მიხედვით ნაწილი მათგანი იდო და ქრისტიანობას, ნაწილი მუსლიმანობას, თუმცა უმრავლესობა მაინც კერპთმსახურები იყვნენ.

„ჩერქეზები განირჩევიან უმთავრესად ლამაზი მოყვანილ შეხედულობით, სახის ხაზების გამომეტყველ სილამაზით, წელის ფერის თმის სიშავით და შავი თვალებით; ქალები თავის სილამაზით ცნობილი არიან მთელ აღმოსავლეთში. დამახასიათებელი, მებრძოლი, ხმლით, ხანჯლით, თოფით და დამბაჩით შეიარაღებული, მათი ტანისამოსი (ჩოხა და ფაფახი) ხომ დიდად გავრცელდა შორის კავკასიის ფერგლებსაც; ქალები, მუსლიმანურ აღმოსავლეთის ადათების მიხედვით, შარვლებში, ფერათ სხვადასხვანი გძელი პერანგებით შარვლების ზემოდ და კაცის ტანსაცმელის მაგვარი ჩასაცმელი, მხოლოდ არა აქვთ იარაღების მოწყობილობა. საჭმელ სასმელში ჩერქეზები ძლიერ თავდაჭერილები არიან: ღვინოს და ღორის ხორცს არ ხმარობენ; ცხვრის ხორცი, რძე, ყველი, ფეტვი—აი მათი საუფრის მთავარი საგნები; სვამენ ლუდის მაგვარ სასმიისს". ***)

რაც შეეხება ჩერქეზების რუსეთთან დამოკიდებულებას, ისეთი იწყება ივანე მრისხანის დროს და შემდეგ თანდათანობით, ღრმად საქმეში დიდ სისხლის მღვრელ ომების შემდეგ, ჩერქეზე- [illegible]

**) იხ. „Национальный вопрос и Советская Россия".

***) Большая Энциклопедия XX ტომი, გვ. 36.

იცვას სრუტეების და ნეიტრალურ ზონის სრული თავისუფლება. დანარჩენ მოკავშირეთა გადაწყვეტ. შესახ. დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ არის მიღებული.

**ქემალ-ფაშას განცხადება.**

ნაუენი 22 სექტ. ქემალ-ფაშამ განაცხადა, თუ კი მოკავშირენი ნებას მისცემენ საბერძნეთს დარდანელის მხრივ ყუმბარები დაუშინოს ოსმალეთის სოფლებს, იგი იძულებული იქნება მოიგერიოს ბერძნების შეტევა. თუ კი მოკავშირენი ნებას არ მისცემენ ოსმალებს გადალახონ დარდანელი, ამას ქემალი ჩათვლის ინგლისის მხრივ სამტრო მოქმედების აქტად.

**ოსმალეთის კავალერია.**

ნაუენი 22 სექტ. ლონდონიდან მიღებული ცნობების თანახმად, ოსმალეთის კავალერია დაგროვილია დარდანელის სამხრეთ ნაპირზე.

**გენერალ ტაუშენდის განცხადება.**

ნაუენი 22 სექტ. გენერალ ტაუშენდმა, რომელიც ამას წინად ანგორაში იყო, განაცხადა პარიზში, რომ, თუ კი სტამბოლის დაკავება მოკავშირეებისაგან გაგრძელდება, სადღეთო ომი აუცილებელია. ტაუშენდი წინადადებას აძლევს მოკავშირეთ დაუბრუნონ ოსმალებს ფრაკია მარიცამდე, ვინაიდან ეს ერთად ერთი საშუალებაა მშვიდობიანობის დასამყარებლად ინდოეთში, მესოპოტამიაში და პალესტინაში.

# ახლო-აღმოსავლეთის კონფერენცია.

**თათბირი პარიზში.**

ნაუენი. 22 სექ. პარიზში, ლორდ კერზონი, პუანკარე და სფორცა შეთანხმდნენ საერთო კონფერენციის მოწვევის შესახებ ინგლისის, იტალიის, საფრანგეთის, იაპონის, საბერძნეთის, ოსმალეთის, რუმინიის და სამხრეთ სლავიის წარმომადგენლებისგან ანგორის მთავრობასთან ზავის ჩამოგდების პირობების გადასაწყვეტად. თუ ქემალი დასთანხმდა კონფერენცია მოწვეული იქნება ვენაში.

**კონფერენციის მოწვევის გამო.**

ბორდო. 22 სექ. ორშაბათს პუანკარე, კერზონი და გრაფ სფორცა გადასწყვიტეს დაჩქარებით მოიწვიონ კონფერენცია, სადაც წარმოდგენილი იქნებიან ინგლისი, იტალია, საფრანგეთი, რუმინია, იაპონია, საბერძნეთის და სამხრეთი სლავია. კონფერენციის მიზანია მშვიდობიანობის დამყარება ახლო-აღმოსავლეთში. ხუთშაბათს სფორცა და კერზონს ქონდათ თათბირი თავიანთ მთავრობებთან.

**ლორდ გრეის წერილი.**

ბორდო. 22 სექტ. ტაიმსში გამოქვეყნებულია ლორდ გრეის წერილი, სადაც გამოთქმულია საფრანგეთ-ინგლისის თანამშრომლობის აუცილებლობა. ლორდ გრეის აზრით, მთავრობების სეპარატიული გამოსვლები ახლო აღმოსავლეთში მიიყვანენ დიდ ბრიტანეთს უბედურებამდი.

**„დეილი-მეილ“ არწმუნებს.**

ბორდო. 22 სექტ. „დეილ მეილ“ არწმუნებს ინგლისის მთავრობას მიჰყვეს საფრანგეთის და იტალიის მაგალითს და გადაიყვანოს ჯარები სრუტეების ევროპის ნაპირებზე.

# უცხოეთი

**ერთა ლიგაში**

ბორდო 22 სექ. მოტტამ (შვეიცარია) გააკეთა მოხსენება ეროვნულ უმცირესობათა კომისიის მუშაობის შესახებ. კონფლიქტები ერთა ლიგის მეგობრულ ჩარევის დახმარების გზით არ არიან გადაწყვეტილი. მოტტა წინადადებას აძლევს სანიმუშოდ აღებულ იქნას შვეიცარია ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად. მონრაჯა-ვალსახებ (ინდოეთი) ლაპარაკობს, რომ ეროვნულ უმცირესობათა საკითხი არსებობს ევროპის გარეშეც მაგ. ინდოეთში და სამხრ. აფრიკაში. მიური ხედავს აღძრულ საკითხში საერთაშორისო ახალ აზრთა წყაროს. მეტხი ფრაშერი (ალბანეთი) აცხადებს, რომ ალბანეთს სურს ნორმალური მდგომარეობის დამყარება ბალკანეთში. ალბანეთს იმედი აქვს სამართლიანობაზე და ივლის საკუთარ გზით. ხანფი (ვენგრია) აცხადებს, რომ ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობა ეთანხმება უმცირესობის ხელშეკრულებათა მუხლებს ვენგრია ღებულობს კომისიის წინადადებას ბანფი სთხოვს ერთა ლიგას ყურადღება მიაქციოს, რაითა უმცირესობანის შესახებ, ხელშეკრულების მუხლში ვენგრიის უმცირესობაზედ იქნას გავრცელებული. განატო—(საფრანგეთი) ურჩევს მთავრობებს დაადგნენ დათმობის გზაზე, იგი წინადადებას აძლევს უმცირესობათ მიიღონ ახალი რეჟიმი და იყვნენ მთავრობებისადმი ლოიალური განწყობილებაში. ის იწონებს აგრეთვე უმცირესობათა მეცადინეობას ურთიერთშორის მოთმენის მისაღწევად. კრება ღებულობს პოლიტიკურ კომისიის რეზოლუციაში ნაციონალურ უმცირესობათა დაცვის შესახებ, შემდეგ კრებამ მოისმინა რაიგონდის (საფრანგეთი) მოხსენება „ესპერანტოს“ შესახებ. კრებამ გადასწყვიტა საკითხი საერთაშორისო დამხმარე ენის შესახებ გადასცეს ინტელექტუალურ თანამშრომლობის კომისიას. ზილოს, მოტტა (შვეიცარია) წინადადებას აძლევს გადასცეს ერთა ლიგის საბჭოს და მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ლიტვის მთავრობის მიერ აღძრულ საკითხს პოლონელებისადმი დამოკიდებულების შესახებ ქალაქ ვილნაში. ნორვეგიის შუამდგომლობს საანკეტო კომისიის გაგზავნის შესახებ და წინადადებას იძლევა მხარი დაუჭირონ კომისიის დადგენილებს, რომლითაც საკითხი გადატანილია ერთა ლიგის საბჭოში. კრება თანხმობას აცხადებს გადაეცეს ეს საკითხი ერთა ლიგას.

**საფრანგეთს მეზღვაურთა გაფიცვა**

ბორდო 22 სექ. ნავთსადგურში მეზღვაურები დგანან, რომელნიც უარყოფენ შრომის ახალ პირობებს. მარსელში მგზავრთა დიდი დაგროვებაა მიმოსვლა ალჟირთან, ტუნისთან და კორსიკასთან შეწყვეტილია.

**მაროკკოში.**

ბორდო 22 სექტ. ესპანეთის მთავრობას არ მიუღია დასტური აბდულ კერიმის მორჩილების შესახებ.

**საფრანგეთი და პერუ.**

ბორდო 22 სექტ. ლიმიდან იუწყებიან, რომ საფრანგეთის მისიის მეთაური პერუში გენერალი პელეგრინი შაბათს გაემგზავრება ლიმაში.

**ბელგრადში.**

ბორდო 22 სექტ. ბელგრადის მთავრობის წრეებში ადასტურებენ დეკლარაციას, რომელიც გაკეთებული იქნა პარიზში ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის შესახებ.

**პარიზის თათბირი**

ჰანოვერი 22 სექტ. დღევანდელ სხდომას გადაწყვეტ სხდომად თვლიან, ვინაიდან ახლო აღმოსავლეთის საკითხი არის საბოლოო გადაწყვეტის საკითხი. დილით გაიმართა მინისტრთა საბჭოს სხდომა რესპუბლიკის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით. ნაშუადღევს დაიწყება ახლო აღმოსავლეთის საკითხის განხილვა პუანკარეს, კერზონის და სფორცის მიერ ახლო აღმოსავლეთის საკითხის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის ოპტიმისტური იმედი ხელ ახლა შესუსტდა, ვინაიდან ყოველივე დამოკიდებულია იმ ინსტრუქციაზე, რომელიც უნდა მიიღოს ლორდ კერზონმა თავისი მთავრობისაგან.

ნაუენი. 22 სექტ. საფრანგეთის კაბინეთის სხდომას რომელიც გაიმართა პარასკევს და აგრეთვე პუანკარეს, კერზონის და სფორცის მოლაპარაკებას აძლევენ მეტად მნიშვნელობას. საფრანგეთის პრესა წინააღმდეგია ოპტიმიზმისა და მდგომარეობას სერიოზულად სთვლის. საფრანგეთმა იცის გარეშე განცდა ეს სერიოზულობა მაგრამ ინგლისის ჯიუტობამ არ უნდა იქონიოს გავლენა ამ საკითხის არა სასურველად გადაწყვეტას, რომელშიაც საფრანგეთიც დაინტერესებულია პარიზის ოფიციოზური გაზეთები აღნიშნავენ რომ საჭირო საფრანგეთმა იმოქმედოს ისე რომ თავიდან იქნეს აცილებული ოსმალეთის დარდანელიდან წინააღმდეგ შემოტევა ინგლისის კაბინეტმა გადასწყვიტა შეინარჩუნოს პოზიციები ჩანაკში, სანამ ქემალ-ფაშა არ მისცემს გარანტიებს მომავალ განზრახვების შესახებ.

# გერმანია და ანტანტა

**საფრანგეთის დელეგაციის განცხადება**

ჰანოვერი 22 სექ. საფრანგეთის დელეგაციამ გააკეთა განცხადება ერთა ლიგაში, რომ საფრანგეთს სურს საკონტრიბუციო საკითხების განხილვა გადაიტანოს ერთა ლიგაში.

**საკავშირთაშორისო ვალები და საკონტრიბუციო საკითხი**

ჰანოვერი 22 სექ. „ფოსიშე ცეიტუნგის“ სიტყვით, დაკისრება საერთაშორისო ვალების საკონტრიბუციო საკითხებთან ინგლისის მიერ მაშინ იქნება მოწონებული, თუ კი საფრანგეთი განაცხადებს თანხმობას რეინის მარცხენა ნაპირის დაცლაზე.

**გერმანია**

ჰანოვერი 22 სექ. გერმანიის ემისიის მეორე ნახევარში გერმანიაში გამოშვებულია 19 მილიარდი 331,5 მილიონი ქაღალდის მარკა.

**დამოუკიდებელ სოც.-დემ. ყრილობა.**

ბორდო 22 სექტ. დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატების კონგრესზე გერმანიაში გამოტანილია რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს პროფკავშირების მონაწილეობას დანგრეულ ოლქების აღდგენაში და ენერგიულ პოლიტიკის მარკის კურსის ასაწევად.

**ბელგია და გერმანია**

ბორდო 22 სექ. ოფიციალურ ნოტაში ნათქვამია, რომ ორშაბათს გერმანია გადასცემს ბელგიის ხაზინის ბონებს, რომელთაც აქვთ სახელმწიფო ბანკის გარანტიები.

**საკონტრიბუციო საკითხი ერთა ლიგაში**

ბორდო 22 სექ. სენატორი ჟუვენელმა, გაუკეთა რა კომენტარიები საფრანგეთის რეზოლუციის პროექტს ტექსტს, ვინაიდან რომ საფრანგეთის მოთხოვნილებას ნამდვილად მიიღებს კონტრიბუცია, და ხაზი გაუსვა, რომ საფრანგეთს ჯერ არაფერი არ მიუღია იმ 84 მილიარდის ასანაზღაურებლად, რომელიც დახარჯული განადგურებულ ოლქების აღსადგენად. აი რატომ მოითხოვს გამარჯვებული საფრანგეთი სხვათა სამართლიანობას. ფიშერი ემხრობა საფრანგეთის წინადადებას, რომელიც აწესებს, მისი თქმით, საკითხის ჩქარი გადაწყვეტილების აუცილებლობას. გომანმა (ბელგია) ტოსტიმ—(იტალია) და რობერტ სესილმა და რუმინიის, შვეციის, ჰოლანდიის და შვეიცარიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი ემხრობიან საფრანგეთის წინადადებას, რომელიც შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული.

---

დოლეცეემენ, ნაპირებზე წყალს გამოუყენია რამოდენიმე ათასი ჩერქეზთა ცხოვმეობა.

რუსეთში დარჩენილი ჩერქეზები ძველი აულებიდან გადაასახლეს და გაათავისუფლეს შორეულ მანძილზე ყაზახთა სტანიცებს შორის, დაასახლეს უვარგის მიწებზე, რომლის ნახევარიც დაახლოვებით გამოუსადეგარი იყო შეუღარებით მადლ კულტურისათვის (პური, [illegible] და სხ.)

შევიწროვებულნი როგორც მთავრობით, აგრეთვე რუსთა მოსახლეობით, ჩერქეზები, ბუნებრივად იკრიფებოდენ თავიანთ ვიწრო რკალში, ზედმიწევნით იცავდენ თავის ზნე-ჩვეულებებს, არ უახლოვდებოდენ რუსებს, რომელთა შორის მრავალნი გამარჯვებულების უფლებებით ეპყრობოდენ ჩერქეზებს სიძულვილით და ამ ყად. დაპყრობილები კი დაცემით და ძარცვა-გლეჯით უხდიდენ. თავის გენერალის გადახდის სურვილის გამოსავალს ამის გამო ჩერქეზთა ახალგაზრდობა ყაჩაღობაში ეძიებდა. რუს ჩინოვნიკების ხაძირალნი, რომელნიც კავკასიაში სამსახურისათვის მოდიოდა ამ ყაჩაღობაში ეძიებდა თავის შემოსავლის საზრდოს და ხშირად მონაწილეობას იღებდა ძარცვაში და საქონლის გარეკვაში. მეფის რუსთა კოლონიზატორული და ყოფითი როლი მექრთამეობით და სამართლის ვაჭრობით აღარ ისაზღვრებოდა, მთავრობას შეჰქონდა ჩერქეზთა წრეში დაშლილობა, რომელთა შორის პოულობდა თავის მომხრეებს, რომელიც მსახურობდა ფულისათვის და ამისათვის „საგანგებოთ მოგონილ ჩინ მედლებისათვის (მილიციის პრაპორშჩიკი და სხ.).

მეფის მთავრობა თავისთვის სასარგებლოდ სთვლიდა ჩერქეზები სიბნელეში ჰყოლოდა; ამის გამო დიდ ხანს მათ ოლქში არ გ უხსნიათ არც ერთი სკოლა შემდეგში აღმოცენებული მასიონერთა სკოლები მხოლოდ დრომ სიძულვილს იწვევდა ჩერქეზებში*).

ასეთი იყო ჩერქეზთა მდგომარეობა რუსთა თვითმპყრობელობის დროს, როდესაც რუსის ჩინოვნიკობის ხაძირალნი განაგებდნენ სვე-ბედს პატარა ხალხისას, რომელსაც სწყუროდა ცხოვრება, რომელსაც სწყუროდა თავისი შემოქმედება. რასაკვირველია ასეთ პირობებში ძირი ეთხოვება ყოველივე ერს, ყოველივე ხალხს, მით უმეტეს, როდესაც მას ახლდება გადასახლებით და ამოხოცვით თავის შემადგენლობის დიდი ნაწილი უნდა ენახოთ უბედურობაში, რომ ოსმალეთში გადასახლებულ ჩერქეზთა რიცხვი უდრიდა ნახევარ მილიონს, რომელნიც დასახლებული იყვნენ ბულგარეთში და თესალიაში ადგილობრივ მუსულმანურ მცხოვრებთა გასაძლიერებლად. ასე რომ ამ შემთხვევაში რუსეთის თვითმპყრობელ მთავრობის მიერ აყრილი პატარა ჩერქეზთა ერი ოსმალთა მთავრობის მიერ გამოყენებული იქნა როგორც მუსულმანური იდეის გახორციელებისათვის სხვა მცირე ერების დასაჩაგრავად. ბულგართა აჯანყებას და რუს-ოსმალთა ომს მოჰყვა ბალკანეთის განთავისუფლება ოსმალთა გავლენისაგან რამაც თავის თავად ცხადია გამოიწვია ჩერქეზთა ხელახლა გადასახლება მცირე აზიაში, სადაც დაფუძნებულ სოფლებით მცირე აზიის ოლქებში პალესტინაში და სირიაში ახლაც ცხოვრობენ ჩერქეზები.

*) Искандер Алиев. „Черкесская (Адыгейская) автономная область“. იხ. ჟურნ. „Жизнь национальностей“ № 17, 1922 წ. გვ. 2—3.

(დასასრული იქნება).

სოსო ასლანიშვილი.

# პატარა ფელეტონი

**ერევნის მოედანზე**

დილით ავდგები დაქანცული საშიშ სიზმრებით,
მოსამსახურე შემომიტანს ცხელ-ცხელ ყავასა,
ვფიქრობ,—ამაღამ სად დავწვები და სად ვიქნები,
შინ, თუ „ჩეკაში“ დავასვენებ მე ჩემ გავასა...

ვაჰრობ ერევნის მოედანზე მე ნელა-ნელა,—
დოლარს გავყიდი, ან ვიყიდი ფრანკს და ლირასა,
ამ სისქე კაცი მე დავფრინავ, როგორც პეპელა,
არავის ვაძლევ არც ანგარიშს, არცა ქირასა...

მაგრამ ერთისა მეშინიან მე უცნაურად,—
იქ თეთრ ლონტი ატრიალებს რადაც ფურცელსა,
ვაჰ! თუ ახალ ბაჟს ჩვენ გვიმზადებს ის ვერაგულად,
და „ნალოგს“ ადებს მილიარდით ჩემს სქელ მუცელსა!!..

[illegible] ალი ბაბა.

# ახალი ამბები

**ეპიდემიური ავადმყოფობა რესპუბლიკაში.** ჯანმრთელობის კომისარიატის ცნობების თანახმად, ეპიდემიურ ავადმყოფობას გასული თვის პირველ ნახევარში ადგილი არ ჰქონია ტფილისის გამოკლებით, სადაც მოდებული იყო ტიფი და ყვავილი, რამაც უკვე დაკარგა ეპიდემიური ავადმყოფობის ფორმა. ხოლერა კი განიცდის დაცემას.

— **ბრძოლა მალარიასთან.** ამ დღეებში სიღნაღისაკენ მიემგზავრება ჯანმრთელობის კომისარიატის სანიტარული განყოფილების გუნდი მალარიასთან საბრძოლველად, რომელიც ფართოდ გავრცელებულია განსაკუთრებით ალაზნისა და იორის მიდამოებში და წნორის წყლის რაიონში.

— **სოფლის აფთიაქები.** ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ გაიცა იჯარით სოფლის აფთიაქები მაჩხაანში და სიღნაღის მაზრაში.

— **ქალაქის აღმასკომმა** 20 ამა სექტემბრიდან შეუდგა ქალაქის ყველა სახლების მდგომარეობის გამორკვევას და ყველა შესაკეთებელ შენობების აღნუსხვას.

— **სტატისტიკოსთა ყრილობა.** 10 ოქტომბერს ქალაქ მოსკოვში შესდგება რუსეთის სტატისტიკოსთა ყრილობა. საქართველოსაგან იგზავნება ცენტრ. სტატ. სამმართველოს თანაშემწე ბეს. ჩიგოგიძე და ტფ. სტატ. განყოფ. თავმჯდომარე არჩილ რუხაძე.

— **ტფილისის სახლების მდგომარეობისა და ბინების სიმკვრივის ხასიათის გამოკვლევა.** 21 სექტემბრიდან ტფ. ქალ. აღმასკომი შეუდგა სახლების მდგომარეობისა და ბინების სიმკვრივის ხასიათის წინასწარ გამოკვლევას, ვიდრე მოხდებოდეს საერთო აღწერა. აღმწერლებს მიეცათ შემდეგი ინსტრუქცია: 1. იმ მიზნით, რომ გამოკვლეულ იქმნეს მეცნიერულად ხასიათი მცხოვრებთა სიმკვრივისა და აგრეთვე სახლების მდგომარეობის შესახებ, მოხდეს ტფ. სახლების წინასწარი გამოკვლევა 1,5 პროც. მანამდე, სანამ მოხდებოდეს მოსახლეობის სრული აღწერა. 2. ამის მიხედვით სხვა და სხვა რაიონებში უნდა იქნეს გამოკვლეული სახლები და მისი სიმკვრივე, 3. გამოკვლევაში იღებენ მონაწილეობას ქალაქის საბჭოს წევრები სასტატის. განყოფილების და საბინაო სექციის თანამშრომელნი, 4. აღნიშნულ პირთ ევალებათ სახლების და ბინების დათვალიერება, შემოწმება და გაზომვა, 5. აღმწერელთა თითოეულ ჯგუფებს აქვთ მიჩნეული განსაკუთრებული უბნები და სახლები, სადაც ისინი აწარმოებენ ამ სამუშაოს, 6. აღმწერლების ბინების დათვალიერებისა და გაზომვის დროს თან ახლავს სახლის პატრონი, მმართველი ან ის პირი, რომელიც ასრულებს სახლის პატრონის მოვალეობას, 7. გამოსაკვლევ სახლების მცხოვრებნი ვალდებულნი არიან მისცენ აღმწერლებს სრული პასუხი ყველა კითხვებზე სახლების და ბინების გამოკვლევის შესახებ.

**შეცდომის გასწორება.**

„ტრიბუნის“ (№ 300) მეთაურში: „ეკონომიური პოლიტიკისათვის“ გამოტოვებულია მთელი წინადადება მესამე სვეტზედ წვეიდან მესამე აწკარში უნდა ჩაემატოს: „გზა ჩვენი სამეურნეო აყვავებისა საზოგადოებრივ ძალების ამუშავებაში მ[illegible]ხია. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ არ უნდა გაუღოს ფართოდ კარები კერძო სპეკულიატურ კაპიტალს, არ უნდა მისცეს მას თავისუფლად თარეშის საშუალება საქართველოში“... და სხვა.

# პროვინციის ცხოვრება

**სოხუმის წყალსადენი.** აფხაზეთის უმაღლესმა ეკონომიურმა თათბირმა, მოისმინა რა კომუნალური მეურნეობის განყოფილების მოხსენება სოხუმში ახალი წყალსადენის გაყვანისა და ძველის შეკეთების შესახებ, დაადგინა: 1. ახალი წყალსადენის გაშენება, სახელმწიფოს მიერ სათანადო თანხის გაღების შეუძლებლობის გამო, ჩაითვალოს არადროულად: 2. კომუნალური მეურნეობის განყოფილებამ დაუყოვნებლივ შეუდგეს ძველი წყალსადენის კაპიტალურ შეკეთებას, მიცემულ ხარჯთაღრიცხვის თანახმად, ამავე დროს სახელმწიფო, ფინანსთა სახ. კომისარიატის სახით აძლევს კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას 300 მილ. მან. სესხს.

**წყალ-დიდობა რაჭაში.** მდ. რიონის ადიდების გამო წყალმა წაიღო მასალების სიდგების შესაკეთებლად და ნახევარი ხიდისა. ქ. ონი

## პარტიაში

დღეს „ტრიბუნის“ რედაქციაში დილის 12 საათზე დანიშნულია მთ. კომიტეტის მორიგი სხდომა.

—

დღეს დილის 10 საათზედ დანიშნულია ახალგაზრდათა კავშირის სხდომა.

ნახევრად მოწყვეტილია მაზრიისაგან, ზარალი უდრის ას მილიონ მანეთს. აღძრულია შუამდგომლობა სახ. კომისართა საბჭოს წინაშე ამ თანხის გადადების შესახებ ონის ხიდის აღსადგენად.

**აჭარის ზარალი.** უკანასკნელი ცნობებით ზარალი 7—8 სექტემბრის წყალდიდობისაგან გამოწვეული ბათომ—სუფსის რაიონში უდრის 1-ნახ- მილიარდ მანეთს.

**მარგანეცის ექსპორტი.** მარგანეცის ექსპორტი ფოთიდან აგვისტოს თვეში გადიდდა: ივლისში გაიტანეს 1,108,242 ფ. აგვისტოში 1,273,545 ფ. სულ იანვრის თვიდან გატანილია 7,356,354 ფ. ინგლისში გატანილია 1663,044 ფ. გერმანიაში—270,501 ფ.

**ბრძოლა მალარიის წინააღმდეგ.** ბათომის შრომის კომისარიატის სამკურნალო ქვე-განყოფილებაში აღრიცხულ ავადმყოფთა შორის 27 პროცენტამდის შეადგენს მალარიით დაავადყოფებულ. შრომის კომისარიატში თავის ხარჯებზედ ინახავს მალარია სადგურსა და გახსნა გოსპიტალი 50 დასაწოლით.

**ტელეფონის ხაზის შეკეთება.** ბათომის ტელეფონის ხაზის შეკეთება, რომელიც დაიწყო 1921 წ. 26 დეკემბერს და უკვე თავდება შეკეთებულია გატარებელი საერთო სიგრძით 130 ვერსზედ მეტი. მუშაობა სწარმოებს მეტად არასასურველი ატმოსფერულს პირობებში.

## სამხატვრო ქრონიკა.

**მარო მდივანის ბენეფისი.** ბათომის აკადემიის თეატრში შესდგა 17 სექტემბერს, ბენეფისი დამსახურებული მსახიობის მარო მდივანის, რომელიც ქართულს სცენაზედ 23 წელი მუშაობს. დადგმულ იქმნა პირველად ბათომის სცენაზე ნ. ნაკაშიძის პიესა „ვინ არის დამნაშავე“ პიესა დაიდგა რეჟისორ ალ. წუწუნავას მიზან-სცენებით. ამ წარმოდგენისთვის ტფილისიდან გამოიწვიეს მსახიობები: ცეცილია წუწუნავა, ალ. ჟორჟოლიანი და სხვა.

**ქართული დრამა.** სექტემბრის 21-ს დაიწყო ქართული დრამის რეპეტიციები. თეატრის გამგე დ. ჩხეიძემ სიტყვით მიმართა დასს, მიულოცა მუშაობის დაწყება და უსურვა ნაყოფიერი და ერთსულოვნური მუშაობა.

**მსახიობ ნ. ციციშვილის დაკრძალვა.** გუშინ ტფილისში დაკრძალეს ქართული თეატრის მსახიობი ნ. ციციშვილი. დაკრძალვას დაესწრნენ ტფილისში მყოფი ყველა ქართველი მსახიობ-რეჟისორნი, მწერლები, თეატრის დირექცია და სხვა საზოგადოება.

**დრამატიული სტუდია.** აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით დაარსებული ქართული დრამატიული სტუდია იწყებს მეცადინეობას ოქტომბრის 2-ს. სტუდიის ბინა მოთავსებულია რუსთაველის თეატრში.

ქუთაისის თეატრის, წარმომადგენელნი მოლაპარაკებას აწარმოებენ დამსახურებულ მსახიობ ვალ. გუნიასთან მიმდინარე სეზონის ხელმძღვანელობაზე. პრინციპიალური დასტური გუნიამ უკვე მისცა.

**ალ. მესხურაძის სახელობ. მომღერალთა გუნდმა** განაახლა ახალი მომღერლების მიღება, როგორც ვაჟებისა ისე ქალებისაც. გუნდში ჩაწერა შეუძლიათ როგორც სტუდენტებს, ისევე ყოველ დარგის მუშებსაც ჩაწერა, სწარმოებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით საღ. 6—8 ს-მდე. ქვაშვეთის ეკლესიის სავარჯიშო ოთახში.

**ქიათურის თეატრი.** მიმდინარე სეზონისათვის ქიათურაში ჯერ-ჯერობით გაიწვიეს სამი მსახიობი: ლ. დოლობერიძე, ალ. ყალაბეგიშვილი და მურუსიძე.

## † არჩილ შათირიშვილი

დღეს, პეტრე-პავლეს სამარეს მიაბარებენ ახალგაზრდა მომღერალ არჩილ შათირიშვილს.

არჩილ შათირიშვილმა—რომელიც დაიბადა ინტელიგენტის შვილი იყო—მაინც მოასწრო ქართული გიმნაზიის დასრულება, ხოლო თანდათანობითი ნიჭის განვითარება დაუდგრომელ ცხოვრების ბრჭყალებში მოუსპეს. მაგრამ ეს მაინც არ უშლიდა ხელს, რომ თვითგანვითარებას დასწაფებოდა...

არჩილ შათირიშვილი რამდენიმე სეზონის განმავლობაში, მსახურობდა ქართულ დრამატიულ დასში, რომელიც ასრულებდა მოკარნახის მოვალეობას.

გარდა ამისა, იგი იყო ერთი იმ ჩვენ მუშაკთაგანი, რომელნიც განაპირა უბნებში აწარმოებენ კულტურულ მუშაობას.

არჩილ შათირიშვილმა მეხუთე სამიკლიო ნაწილში, ამ რამდენიმე წლის წინად თავის მამა გიორგისთან ერთად დაარსა ეგრედწოდებული „ხაროუხის კლუბი“, თვით კი სამი წლიწადი თავმჯდომარეობდა „ქართულ დრამატიულ წრეს“ რომლის იდეაც იყო, მდაბიო ხალხისთვის ეჩვენებინა მხატვრული წარმოდგენები მარტივ შინაარსით ამეტყველებული.

განსვენებულს 1920 წელს, ებარა ავასთუმნის თემის გამგეობა, რომლის მცყაიათ მუშაობაც არა ერთხელ იყო აღნიშნული მაშინდელ მთავ. ოფიციალურ ორგანოებში.

განსვენებული იყო უოვლად პატიოსანი, კეთილი, სპეტაკი და მოკრძალებული.

არ ვიცი როგორ დავიტირო ჩემი სიყრმის მეგობარი! ჩემი სპეტაკი არჩილი! კალმის წვერი ვერ იტევს ყოველივეს...

**უჯავრელი.**

## კოოპერატიული ცხოვრება

**ახალციხის მაზრის მორწყვა.** წინადადება მიეცა წყალშენს მოახდინოს ახალციხის მაზრაში მორწყვა და გამოარკვიოს წყლის საჭიროება მაზრაში. ამისათვის ჯერ-ჯერობით წყალშენს გადაეცა 50 მილ. ქართული ბონებით. განყოფილება ამზადებს სპეციალურ ტეხნიკურ პარტიას ადგილობრივად მუშაობისათვის.

**ახალი ელექტრო-სადგურები.** წყალშენს წინადადება მიეცა ჰიდრო-ტეხნიკური სადგურის მოწყობისა სად. ზესტაფონთან და ხონში. ამ საქმისათვის გადადებულია 500 მილ. მანეთი.

**ზემო-ავჭალა.** ზემო-ავჭალაში სწარმოებს მუშაობა ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის აგებისათვის. დაწყებულია მოლაპარაკება საალმშენებლო მატერიალის შესაძენად. წყალშენისათვის ახლო მომავალში აუცილებელია დინამიტი, გადასაზიდი საშუალებანი, ავტომობილები და სხ. განზრახულია მუშაობაში ტყვეების გამოყენება ამისათვის სწარმოებს მოლაპარაკება სადაც ჯერ არს.

**მოსარწყავი არხები.** უკანასკნელ ხანში წყალშენმა შეასრულა მთელი რიგი სამუშაო, უმთავრესად მოსარწყავ არხების გაყვანა რესპუბლიკის შემდეგ რაიონებში—წილკანში, დუეს—გრაკალში, სკრა—ქარელში, დაბა ულევმლში, ხახულის—ჩებალში, დიბინაკში მდლაკში, ფარცხა ნაყანებში და სხ.

ამას გარდა განყოფილების მიერ სწარმოებს მუშაობა ბორჯომში მდ. ბორჯომისაგან თავ—დასაცავ კედლის გაყვანისათვის, რომელიც დანგრეულ იქნა 11 ივლისის წყალდიდობით.

**ხატყეთ კომიტეტი.** საქართველოს ტერიტორიაზედ არსებობს 300 ცხენის ძალიანი ხეტყის ქარხანა (ქუთაისის მაზრაში. სოფ. საჩალავოში.) ეს ქარხანა იმყოფება იტალეთის ამხანაგობის ხელში.

ქარხანა ემსახურება ხეტყის დიდ რაიონს, ცხენის-წყლის სანაპიროებს. ადმინისტრაცია ჯერ-ჯერობით ვერ ახერხებს ქარხნის მთელ საშუალებების გამოყენებას. არ არის მოწესრიგებული ნედლი მასალის მიწოდებაც. ქარხნის წარმოებითი შესაძლებლობა შემოკლებულია ორი მესამედით და იგი ვერ ახერხებს თავის დანიშნულების გამართლებას. მუშებსა და ადმინისტრაციას შორის ადგილი აქვს ხშირ კონფლიქტებს, ქარხანა ეცემა. ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება ხეტყის დამამუშავებელ მუშათა კავშირმა და დაადგინა შესაფერი ზომების მიღება.

## წერილი რედაქციის მიმართ.

გთხოვთ თქვენს გაზეთ „ტრიბუნის“ უახლოეს ნომერში ადგილი დაუთმოთ შემდეგს: სხვა და სხვა პოლიტიკური პარტიების პროგრამულ—თეორეტიულ და იდეოლოგიური მრწამსის გაცნობამ, მათი პრაქტიკულ მოღვაწეობის შესწავლამ და ბოლოს თვით თანამედროვე სოციალ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ საბოლოოდ დამარწმუნა იმაში, რომ ყოველგვარი შეუთანხმებელი პოლიტიკა და მშვიდობიანი გზის მაძიებელი პოლიტიკური პარტიები ზედმეტ მარტად აწვენ იან მშრომელ ხალხს, პროგრესის შემაფერხებელ ძალად გვლინებიან მუშათა წრეებს და ამით, შეგნებულად თუ შეუგნებლად, მეტად ავიწროებენ სოციალიზმისაკენ მიმავალ გზას.

დემოკრატიზმის გზა მიუღებელია სოციალიზმისათვის. თავისუფალი პრესა და საყოველთაო საარჩევნო უფლებები საუკეთესო იარაღად ექმნება ბურჟუაზიას თავის პოლიტიკური ბატონობის განსამტკიცებლად. ამისათვის ჩვენ ისტორიული მასალები მოგვეპოვება და ამაზე შეჩერება ზედმეტად მიგვაჩნია, ხოლო ვიტყვით, რომ პარლამენტარისტული ფორმებს მარცვლობისა ერთხელ და სამუდამოდ უნდა უარყოს მუშათა კლასმა, თუ მას სურს საბოლოო გამარჯვების მოპოვება. და თუ ეს ასეა ჩვენც დღეიდან თავს ვაცხადებთ დასავლეთის პასიურ, ძირმომპალ სოციალ შეთანხმებს და ვდგებით საბჭოთა სისტემის, აქტიურ რევოლიუციონურ სოციალიზმის ნიადაგზე. ამიერიდან თავს ვანებებთ მემარჯვენე ფრთას სოც.-ფედ. პარტიის და ვუერთდებით მემარცხენეთა რევოლიუციონურ რიგებს. რადგანაც უკანასკნელთა მოკლე ხნის მოღვაწეობამ საქართველოში ყველასათვის თვალსაჩინო გახადა, რომ ეს ერთად-ერთი პარტია ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ამ თავითვე სწორედ ადგებული ერთსულოვანი სოციალისტური გზის წარმოებით ემსახურება წმინდად მუშათა მასების წინ სვლის საქმეს და ამით თან და თან მასიურად ხდება, რაც აუცილებელი პირობაა მშრომელი მასის საბოლოოთ გამარჯვებისთვის.

**ვლადიმერ ქორჩილავა.**

—

ბატ. რედაქტორო!

ნება მომეცით უპასუხო ბ-ნ მაქსიმეს, რწმუნებულ კაციაშვილს რომელიც ლამობს საქმე მედიატორულ სასამართლოში გადაიტანოს და იქ შინაურულად გადაარჩეს, მე ამ აზ იდგან შორს ვდგევარ მე უკვე საქმე გადავეცი რევტრიბუნალს და იქ გავსწორდებით.

**პ. გრიქურაშვილი.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

## ქალაქ ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის სავალდებულო

# დადგენილება

**№ 12 1922 წ. 20 სექტემბერი.**

### ქუჩებში მოხეტიალე ძაღლების შესახებ

ქალაქში მრავალ ძაღლების გახშირების გამო, ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ქ. ტფილისის და მისი მიდამოების მცხოვრებნი, ვისაც ჰყავთ ძაღლები ვალდებულნი არიან იყოლიონ ეს ძაღლები თავიანთ ეზოებში დაბმული.
2. ქუჩაში შეიძლება ძაღლების გამოყვანა მხოლოდ სატუჩით ან თოკზე.
3. ყველა ძაღლებს ქალაქში და მის მიდამოებში უნდა ქონდესთ განსაკუთრებული ნომრები, რომელიც ძაღლის პატრონებმა უნდა შეიძინონ ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში 500,000 მანეთად თითო ცალი.
4. ის ძაღლები, რომელთაც არ ექნებათ სატუჩეები და ნომრები, ან თუ პატრონს არ მიჰყავს ისინი თოკით, ჩაითვლებიან მოხეტიალე ქუჩის ძაღლებად და გაიგზავნებიან ქალაქის სასაკლაოსთან არსებულ საუტილიზაციო ქარხანაში.
5. ქალაქის სასაკლაო ვალდებულია შეინახოს ძაღლები 3 დღე, რის განმავლობაშიაც პატრონს შეუძლია დაიბრუნოს უკანვე თავისი ძაღლი, მხოლოდ უნდა გადაუხადოს სასაკლაოს ძაღლის შენახვის საფასური. თუ პატრონმა 3 დღის განმავლობაში არ მოითხოვა ძაღლი, ქალაქის სასაკლაო გამოიყენებს დაჭერილ ძაღლს საუტილიზაციო ქარხანისათვის.
6. ყველა საეჭვო ან ავადმყოფი ძაღლები უნდა წარადგინონ ქალაქის საბეითლო სამკურნალოში (19 თებერვლის ქუჩა, № 22), პირველები გამოსაცდელად, ხოლო მეორენი დასახოცად.
7. სავალდებულო დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ, ქალაქში გამოშვებულნი იქნებიან ძაღლის დამჭერელნი მოხეტიალე ძაღლების დასაჭერად.
8. დადგენილება ესე შედის ძალაში მისი გაზეთებში გამოქვეყნების დღიდან 2 კვირის შემდეგ.

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის
თავმჯდომარის მოადგილე: **წიგწავაძე**
მდივანი: **ხუნდაძე.**

№ 45 1—1

# განცხადება

აღმასკომის გადასახადთა ბიურო აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 27 სექტემბერს დილით 12 საათზე აღმასკომის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა სასტუმროებზე

### „პალე-როიალი“ „ისლამიაზე“ და „სალმა“-ზე

კონდიციის გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში ოთახი № 50 საიჯარო მაგიდის გამგე დარახველიძესთან.

## ქალაქის აღმასკომი ამით აუწყებს ქალ. ტფილისის მოქალაქეებს,

რომ ყველა მოქალაქე რომელთაც ყავთ ძაღლები, ვალდებულნი არიან შეიტანონ ქალაქის აღმასკომის გადასახადთა ბიუროს სათანადო სააგენტო კონტორებში 500,000 მან. თვითეულ ძაღლზედ და მიიღონ საჭირო მოწმობები. ამ თვის 30-დან დაიწყება ძაღლების ჭერა.

| | | |
|---|---|---|
| მისამართი | 1 და 13 კომ. კანტორისა | ვერის დაღმართზე. |
| „ | 2 და 3 „ „ | გრაფის ქ. № 14. |
| „ | 4 და 5 „ „ | თათრის მოედანი. |
| „ | 6 და 7 „ „ | ავლაბარი, ნუნუფაროვის ბაზარი. |
| „ | 8 და 9 „ „ | ელისაბედის № 10. |
| „ | 10, 11 და 12 „ | ჩერქეზიშვილის № 8. |

№ 43. 3—3.

# ტფილისის აღმასკომის გადასახადთა ბიურო

# აცხადებს

რომ ვერის ბორანზე გადასვლის ფასი ენკენისთვის 21-დან დაწესებულია

# 2000 მანეთი

№ 42. 10—3.

საქართვ. უმაღ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა კრუზენშტერნის ქუჩა.

ტირაჟი 1850